

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ანი ქიმაძე

საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების პერსპექტივები
მოსახლეობის სიღარიბის და მიგრაციის გლობალური
გამოწვევების შუქზე

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

სადოქტორო პროგრამა - ბიზნესის ადმინისტრირება,
შიფრი 02

თბილისი

2019

დისერტაცია შესრულებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტში.

სამეცნიერო ხელმძღვანელი,
ასოცირებული პროფესორი

/მ. ხარხელი/

ოფიციალური რეცენზენტები:

- 1.
- 2.

დისერტაციის დაცვა შედგება 2019 წლის „----“ -----“ --- საათზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის სადისერტაციო კოლეგიის სხდომაზე, კორპუსი VI, აუდიტორია -----
მისამართი: თბილისი, 0175, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ავტორეფერატისა კი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (www.gtu.ge).

სადისერტაციო საბჭოს მდივანი,
ასოცირებული პროფესორი

ლია ბერიკაშვილი

SUMMARY

The dissertation work - **"Perspectives of Small Business Development in Georgia on the Light of Global Challenges of Population Poverty and Migration"** consists of three chapters and conclusions.

Introduction includes the factual disagreement facts, goal objectives and objectives, subject matter and object, topic study in Georgia, research method and methodology, research news and results.

The first chapter of the work - "Small business theory in the context of mass employment in the population" - is covered in three issues. The first issue concerns the essence of small business, its parameters and criteria. This chapter of the study lists different scholars' views on the small business roles in the economy that it creates jobs, creates new products, easily responds to the market change requirements, and so on. Sh.

The second issue points out that the difference between the small and medium-sized parameters in different countries, Sh. In Georgia, however, the criteria are mainly three times (two in some) - turnover, employment, the size of capital. It is also said that the small enterprise parameters in Georgia are different from taxes in terms of statistical accounting. This causes great confusion and needs to be unified.

The second issue is dedicated to **SWOT** analysis of small businesses in Georgia. In this part of the thesis, the dissertation criticizes the **SWOT** analysis of the small business development strategy and argues to make its critical remarks.

The third issue is analyzed and evaluated by the measures (5-strategic directions) that are put in the SME strategy of Georgia and will be implemented in 2016-2020. Here, the dissertation is critical of this document and does not consider its full identification with the European Small Business Act.

The second chapter of the dissertation work – "Assessment of the international migratory sentiments of the Georgian population in the context of small business development" - is also discussed in three issues.

In the first point - Small business development in Georgia and its state support - is represented by the Trend of Small Business Development in Georgia in 2010-2017 and it is noted that the implementation of various new events of the new government of Georgia ("Produce Georgia", "Future Future", etc.) As a result, from 2016 to fewer There was some breakthrough in business. The situation is positively evaluated by this situation, however, it is indicated that its further enlargement and development skills. The issue of small business development is discussed in the context of migration, the pace of which has been reduced but not ceased.

The poverty, living standards and migration of Georgian population are examined in the second issue. The reason for poverty is that it is unprecedented (officially 13,9% in 2017, 30% by GFSIS). In total household income is 317,2 GEL per month (2017), 60% of median households live 830967 male (22.3% of the population), and below 40% - 316744 people. The first part spent 5,3 GEL per day,

the second - 3,6 GEL. In respect to the dollar, both of these are partially below the poverty line with their daily consumption (less than \$ 2).

The living standard of living in Georgia is very low. Total Gross Domestic Product (GDP) per GDP in 2017 was \$ 1,056 (ie USD 3804), which was 45,1% higher than in 2012, but high-end foreign countries (Switzerland, Finland, Luxemburg and Others) compared with the same rate (more than 30000 dollars per year).

This level of living has divided the population into rich and poor (the middle class is almost no), the coefficient of inequality in revenues is on the critical edge (total revenue of 0.41, total expenditure 0,45 and so on). Unemployed people see emigration in the emigration and leave the country.

In the second chapter of the work, the third issue - Mtskheta-Mtianeti population survey of migratory mood - is conducted. He covered 80 respondents. The migratory sentiments of the surveyed respondents were examined by 30 types of questionnaires. 34% of the respondents are going to go now, 58.5% still refrained, and 7.5% are not going to go. The main reason for leaving is unemployment (66,2%).

The third chapter of the dissertation work - Development of inclusive small business in Georgia as a means of migration and poverty reduction - includes three issues.

In the first issue analyzes Georgia's migration stratification, it is critically evaluated and the conceptual vision is set out. The author assesses critically the strategies of Georgia's migration, in which first orientation is taken back to the return of the aliens and their reintegration in their homeland and not the population still remaining in Georgia whose migration is higher.

In the opinion of the author, the first target group should be still the Georgian population on the spot, especially the poorest and grouped groups that they are employed in their country. First of all, the migration strategy should be taken into consideration.

The second issue concerns the Georgian economy left on the hope of immigrants. The author notes that money transfers from emigrants are one of the key financial resources for the economy of the country, it is equivalent to foreign direct investment. This cash transfer is about 8-9% of the domestic product. In absolute dimension, in 2016, it amounted to 1.2 billion US dollars. If not these messages would be the Georgian economy would be fiercely fierce. But the dissenters do not see this way for Georgia. In his opinion, if Georgia grew up, the author will not abstain from the Georgians, the author does not agree with some optimists who think that sooner or later immigrants will return to their country with a higher level of support Weighing money is also provided. The dissertant is more likely to share with the scientist D. The third postulate of the thesis of Massae, which informs us that "immigrants in the migration duration increases their likelihood of resettlement abroad." From this provision, the author makes the most disturbing conclusion that Georgia's 1,6 million people have never been in Georgia again and they do not follow other people, they need to take extraordinary measures for their employment in Georgia In A small business doctor thinks this as a field.

In the third Issue - Georgia's Inclusive Small Business in Georgia as a way to reduce the migration of people and reduce poverty - the dissertation discusses inclusive small businesses as engaging the poor, engaged in their skills and skills, and provides practical recommendations to Georgia Strategy - Long 2020", which has an inclusive growth forecasts in Georgia. This is a recommendation: creation of managing-regulatory commissions in inclusive business in the center and regions; Description of the poor according to their age, skills, lighting, abilities and other signs; The ability of young people to be compared to the poorest households and to organize business practices in business tutoring; Opening of inclusive business incubators at all major municipalities and cities at the expense of the poor; Financial support from the Government in the pursuit of their own work for the poor. The framework model of this report has been developed for Mtskheta-Mtianeti region.

Dissertation work ends with summary conclusions and practical recommendations.

სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალურობა. მცირე (და საშუალო) ზომის საწარმოები ტრადიციულად ქვეყნის ეკონომიკური სისტემის სიძლიერეს განაპირობებენ და წარმოადგენენ სამუშაო ადგილების შექმნის ძირითად წყაროს. ის ვითარება, რომ საქართველოში უმუშევრობის დონე 13,9%-ია (ეს ოფიციალური ინფორმაციაა, ცალკეული გამოკვლევებით კი იგი 30%-საც კი აღემატება), მოსახლეობის ნახევარზე მეტი სიღარიბის ზღვარზეა, ყოველი 1000 მოსახლიდან 667-ს ბანკის ვალი აქვს და მოსახლეობა მასიურად ტოვებს ქვეყანას და სამუშაოს საძებნელად სხვა ქვეყანაში მიედინება, განგაშს უნდა იწვევდეს ხელისუფლებაში. საქართველოს ხელისუფლება აღიარებს, რომ „ზოგადი ბიზნესგარემოს გაუმჯობესების მიუხედავად, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების თვალსაზრისით, საქართველოში იგივე გამოწვევები დგას, რაც მრავალ განვითარებად ქვეყანაში.¹ მიუხედავად იმისა, რომ მცირე და საშუალო საწარმოებზე მოდის მოქმედი საწარმოების უდიდესი ნაწილი, მათი წვლილი მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ) კვლავაც ძალიან დაბალია. საქართველოს მთავრობა ეკონომიკური განვითარების პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მცირე და საშუალო მეწარმეობას და მიზნად

¹ საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის, თბ., 2015, გვ. 4.

ისახავს სამეწარმეო გარემოს შემდგომ სრულყოფას, რაც ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო საწარმოების ზრდას და განვითარებას“.

ამ ციტირებული მასალით ჩანს, რომ მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება საქართველოს მთავრობის დეკლარირებული პრიორიტეტია. ასეთ პრიორიტეტად იყო იგი გაცხადებული საქართველოს მთავრობის მიერ 2002 წლის სამთავრობო დოკუმენტშიც. მაგრამ ამ დოკუმენტის მიღებიდან 16 წელი გავიდა და საქართველოში არც სიღარიბე შეცირებულა, არც ცხოვრების დონე ამაღლებულა, მიგრაცია კი უფრო შემამფოთებელი გახდა. მეტიც, ამ დოკუმენტის მიღებიდან სულ რაღაც 4 წელიწადში გაუქმდა საქართველოს კანონი მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის შესახებ“, გაუქმდა ამავე სახელწოდების ცენტრი და დღემდე არც ერთია აღდგენილი და არც მეორე.

მართალია, 2013 წლიდან საქართველოს მთავრობაში პარტია „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ დაიწყო გარკვეული ცვლილებები ამ სექტორში - შეიქმნა მეწარმეობის განვითარების სააგენტო, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო, ამუშავდა ორო-სამი პროგრამაც („აწარმოე საქართველოში“, „დანერგე მომავალი“, „იაფი კრედიტი“), მაგრამ ეს ნაბიჯები არის მეტად ფრთხილი, დროში გაწელილი და რაც მთავარია, არასაკმარისი. საქართველოს მცირე ბიზნესის განვითარებას სჭირდება უფრო ღრმა მხარდაჭერა ადმინისტრაციულადაც, მეთოდურადაც და ფინანსურადაც. ეს საქმე რომ იმ დონეზე არ კეთდება ქვეყანაში, როგორსაც მცირე მეწარმეები ელიან, ამიტომ არის იგი გამოსაკვლევად აქტუალური, თანაც მეტად სადღეისო. შეიძლება ითქვას, რომ საქართველო დღეს ისეთმა სიღარიბემ და ისეთმა მიგრაციამ მოიცვა, რომ საქართველოს მოსახლეობის ადგილზე დასაქმების საკითხზე მნიშვნელოვანი არავითარი სხვა საკითხი დღეს საქართველოში არ არსებობს. ამ პრობლემების გადაწყვეტა მხოლოდ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებით შეიძლება.

გამოკვლევის მიზანი და ამოცანები. გამოკვლევის მიზანი არის საქართველოში დღეს არსებული სიღარიბის და მიგრაციის პირობებში მცირე ბიზნესის განვითარების რეალური პერსპექტივების დასახვა. რაც შეეხება კვლევის

ამოცანებს, მათ რიცხვშია: საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების მდგომარეობის გამოკვლევა, სახელმწიფოს მხრიდან მისი მხარდაჭერის შესწავლა, ქვეყანაში სიღარიბის და მოსახლეობის მიგრაციის მაჩვენებლების შეფასება, ამ სფეროებში სამთავრობო სტრატეგიების კრიტიკული განხილვა და მრავალი სხვა.

კვლევის საგანი და ობიექტი: კვლევის საგანია მცირე ბიზნესი როგორც მოსახლეობის მასიური დასაქმების ხელშემწყობი, ობიექტი კი - მცხეთა-მთიანეთის რეგიონი.

პრობლემის კვლევის თანამედროვე მდგომარეობა. მცირე ბიზნესის პრობლემატიკაზე მრავალი ქართველი თუ არაქართველი მეცნიერი მუშაობდა და მუშაობს დღესაც. ქართველ მეცნიერთაგან განსაკუთრებით გამოვყოფ მეცნიერებს, რომელთაც გარდაქმნამდეც და გარდაქმნის შემდეგაც აინტერესებდათ საქართველოს მოსახლეობის მძიმე სოციალური მდგომარეობა და სწორედ მცირე ბიზნესს მიიჩნევდნენ ამ როლში. ესენია პროფესორები: ნ. ჭითანავა, რ. ასათიანი, დ. მოურავიძე, ი. მესხია, თ. აქუბარდია, ე. მექვაბიშვილი, თ. შენგელია, უ. სამადაშვილი, ა. საკანდელიძე, გ. ერქომაიშვილი, ო. შურღაია, ზ. ლუდუშაური, ნ. ბაკაშვილი, თ. როსტიაშვილი, გ. ხარხელი, ო. გოგიაშვილი, ბ. კობერიძე, ლ. ქადაგიშვილი და სხვ.

კვლევის ინფორმაციული ბაზა, მეთოდი და მეთოდოლოგია. გამოკვლევის ინფორმაციული ბაზა არის ამ პრობლემაზე შექმნილი სხვადასხვა მეცნიერთა (ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე) მიერ შექმნილი ნაშრომები. კვლევის მეთოდად გამოყენებულია **დაკვირვება, ანალიზი, შედარება, ანკეტირება, პროგნოზირება.**

დაკვირვების მეთოდი გამოყენებულია ნაშრომის პირველი თავის პირველ პარაგრაფში, როცა მცირე მეწარმეობაზე შექმნილ სხვადასხვა ლიტერატურაზე დაკვირვებით დადგენილია, რომ ზოგადად ბიზნესისგან განსხვავებით მცირე ბიზნესს ცალკე თეორიული საფუძვლები არ გააჩნია.

ანალიზის მეთოდი გამოყენებულია სადისერტაციო ნაშრომის პირველი თავის მეორე პარაგრაფში, როცა შეფასებულია საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის მთავრობისეული SWOT-ანალიზი.

ეს მეთოდი გამოყენებულია აგრეთვე სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავის პირველ პარაგრაფში, რომლის მეშვეობით შეფასებულია მცირე ბიზნესის განვითარება საქართველოში, მისი ხვედრითი წილი საერთო ბრუნვაში, დასაქმებაში და ა. შ.

იგივე მეთოდით წარმოებულია საქართველოს მოსახლეობის სიღარიბის, ცხოვრების დონის და მიგრაციის მდგომარეობის შეფასება.

ანალიზის მეთოდი ნაშრომში გამოყენებულია აგრეთვე საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგიის შეფასებისას (სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავის პირველი პარაგრაფი).

შედარების მეთოდი გამოყენებულია სადისერტაციო ნაშრომის პირველი თავის მესამე პარაგრაფში ევროკავშირის „მცირე ბიზნესის აქტთან“ საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის 2016-2020 წლების სტრატეგიის შედარებისას.

სოციოლოგიური გამოკითხვის მეთოდი, კერძოდ კი, მოსახლეობის ანკეტირება, გამოყენებულია მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მოსახლეობის ემიგრაციული მზაობის შემოწმებისას.

პროგნოზირება გამოყენებულია სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავის მესამე პარაგრაფში. იგი გამოიხატება საქართველოში ინკლუზიური ბიზნესის განვითარების რვასაფეხურიანი ჩარჩო-მოდელის აგებასა და დასაწერად შემოთავაზებაში.

გამოკვლევის სიახლეა შემდეგი: დადგენილია საქართველოს კანონის „მცირე (და საშუალო) ბიზნესის მხარდაჭერის“ შესახებ აღდგენის საჭიროობა და აუცილებლობა; დასაბუთებულია საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების სააგენტოს და მცირე ბიზნესის ფინანსური, მეთოდური და საკონსულტაციო მომსახურების უფასო ცენტრის სახელმწიფოს მიერ დაფუძნება; შემუშავებულია და წარმოდგენილია საქართველოს რეგიონებში ინკლუზიური მცირე ბიზნესის განვითარების ჩარჩო-მოდელი; შემუშავებულია „საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის 2016-2020 წლების განვითარების სტრატეგიაში“ და „საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგიაში“ - შესატანი ცვლილებები.

ნაშრომის დანიშნულება. ნაშრომი გამოადგება ამ პრობლემით დაინტერესებულ ყველა პიროვნებას, აგრეთვე, მეწარმეობის განვითარების სააგენტოს.

ნაშრომის აპრობაცია. ნაშრომის ძირითადი შინაარსი ორი კოლოკვიუმის სახით მოხსენდა ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის საგამოცდო კოლეგიას.

ნაშრომის პუბლიკაცია. ნაშრომში მოცემული ძირითადი პრობლემები დაბეჭდილია 4 სტატიაში და მოხსენებულია 4 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა. ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავისა და დასკვნისაგან. ნაშრომს ახლავს 20 ცხრილი, 12 ნახაზი, 91 გამოყენებული ლიტერატურის დასახელება. მისი მოცულობაა 168 გვერდი.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები

სადისერტაციო ნაშრომი შედგება სამი თავისგან. პირველი თავი - „**მცირე ბიზნესის თეორია მოსახლეობის მასიური დასაქმების კონტექსტში**“ - თავის მხრივ მოიცავს სამ ქვეთავს:

1. I.1. მცირე ბიზნესის არსი, პარამეტრები და ეკონომიკაში შესრულებული როლი
2. I.2. მცირე (და საშუალო) ბიზნესის SWOT-ანალიზი
3. I.3. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2016-2020 წლების სტრატეგიის შეფასება

ნაშრომის პირველი თავის პირველ ქვეთავში - „**მცირე ბიზნესის არსი, პარამეტრები და ეკონომიკაში შესრულებული როლი**“ - მცირე ბიზნესად მიჩნეულია მიკრო და მცირე საწარმოთა ერთობლიობა, რომელთა პარამეტრები არათუ სხვადასხვა ქვეყნებში, არამედ, ხშირად, ერთდაიგივე ქვეყანაშიც კი იქიდან გამომდინარე, თუ ინსტიტუციონალური მართვის რომელი რგოლი როგორ უდგება მას, ურთიერთგანსხვავებულია. განსხვავებულია ამ საკითხში საერთაშორისო ორგანიზაციების მიდგომებიც. ევროკავშირის დადგენილებით მცირეა საწარმო 49-მდე დასაქმებულით (და 10 მლნ ევრომდე ბრუნვით), ხოლო საშუალო სიდიდის 49-დან 249-მდე დასაქმებულით, ეკონო-

მიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია კი მცირედ მიიჩნევს საწარმოს 99-მდე დასაქმებულთ, ხოლო საშუალოდ 100-დან 499-მდე დასაქმებულთ. კიდევ უფრო განსხვავებულია იგი ქვეყნების მიხედვით: დიდ ბრიტანეთში მცირეა საწარმო 50-მდე დასაქმებულთ, საფრანგეთში 500-მდე დასაქმებულთ, გერმანიაში 49-მდე დასაქმებულთ, საქართველოში 20-მდე დასაქმებულთ და ა. შ. მაშასადამე, მსოფლიოში მცირე და საშუალო საწარმოთა განმსაზღვრელი ერთიანი პარამეტრები არ არსებობს. 21-ე საუკუნის დასაწყისშიც კი მსოფლიო ჯერ კიდევ ვერ შეთანხმდა მცირე (და საშუალო) საწარმოთა ერთიანი პარამეტრებსა და კრიტერიუმებზე.

განსხვავებულია მეცნიერთა აზრი მცირე ბიზნესის როლზეც ეკონომიკაში. ამის მიუხედავად ყველა ისინი თანხმდებიან იმაზე, რომ მცირე ბიზნესი ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს (და ამ გზით ასაქმებს მოსახლეობას) და ოპერატიულად რეაგირებს მომხმარებელთა მოთხოვნილებებზე. ეს ის თვისებებია, რომლებითაც მცირე ბიზნესი ჯეროვან კონკურენციას უწევს საშუალო ბიზნესსაც და მსხვილ ბიზნესსაც.

პირველი თავის მეორე ქვეთავში - „მცირე (და საშუალო) ბიზნესის SWOT-ანალიზი“ - კრიტიკულად შეფასებულია საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის 2016-2020 წლების განვითარების სტრატეგიაში ჩადებული ეს ანალიზი. იგი საქართველოს მთავრობის მიერ შესრულებული დოკუმენტია. განსაკუთრებულად კრიტიკულად შეფასებულია ძლიერი მხარეების პირველი, მეოთხე, მეექვსე, მეშვიდე, მეათე და მეთერთმეტე ნომრად დასახელებული სიძლიერეები. დისერტანტი მათ არ თვლის საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის ძლიერ მხარეებად და სათანადოდ ასაბუთებს მას. რაც შეეხება საქართველოს მცირე ბიზნესის სუსტ მხარეებს, ამ დოკუმენტში ჩამოთვლილ 13 სუსტ მხარეს დისერტანტი ამატებს კიდევ ხუთს და ამასაც სათანადო არგუმენტებით ასაბუთებს.

მესამე ქვეთავი ეძღვნება საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2016-2020 წლების სტრატეგიის შეფასებას. დისერტანტი აღნიშნავს, რომ 2015 წლამდე საქართველოს არც ასეთი სტრატეგია ჰქონდა და არც მთლიანად ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია.

დღეს ორივე არსებობს. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიაში 5 სტრატეგიული მიმართულება (1. საკანონმდებლო, ინსტიტუციური და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება; 2. ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება; 3. უნარების განვითარება და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა; 4. მცირე და საშუალო საწარმოთა ინტერნაციონალიზაცია და ექსპორტის ხელშეწყობა; 5. ინოვაციების, კვლევის და განვითარების ხელშეწყობა) და 33 პრიორიტეტული ქმედებაა მოცემული. დასახელებული სტრატეგიის შესახებ დისერტანტის შეხედულება შემდეგნაირია: დისერტანტის აზრით, ეს სტრატეგია ისეთივე ფორმით უნდა დაწერილიყო, როგორც დაიწერა „საქართველო-2020“ („საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის“). მასში გათვალისწინებული ღონისძიებები შეიძლება იმ დონეზე დეტალურად დაკონკრეტებული ვერ იქნებოდა, მაგრამ შესრულების ვადები და მოსალოდნელი სარგებელი მაინც უნდა ყოფილიყო ნაჩვენები. მოცემულ სტრატეგიაში ასეთი არაფერი არ არის მოცემული. განხილულ სტრატეგიაში მხოლოდ გვხვდება ზღვარგადასული დაპირებები.

დისერტანტის აზრით, კიდევ უფრო შემამოფოთებელი ის არის, რომ მოცემული სტრატეგია ევროკომისიის მიერ მიღებული „მცირე ბიზნესის აქტის“ სრული კალკია, იმ განსხვავებით, რომ იქ, რასაც პრინციპები ეწოდება, აქ, ქმედებებად, ღონისძიებებად არის „მონათლული“.

დისერტანტი ამ პრინციპებს ადარებს საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიაში დასახულ ქმედებებს (ღონისძიებებს) და აკეთებს ასეთ დასკვნას: საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2016-2020 წლების სტრატეგიაში ჩამოთვლილი ღონისძიებები მართალია პირდაპირ არ იმეორებენ ამ, ევროპული პრინციპების დასახელებებს, მაგრამ მათი შინაარსები ურთიერთიდენტურია. დისერტანტი არ არის წინააღმდეგი იმისა, რომ საქართველო იზიარებდეს ევროპულ გამოცდილებას, რადგან ამ გამოცდილებამ ევროპის ხალხებს ცხოვრების კარგი პირობები შეუქმნა, მაგრამ დისერტანტის აზრით, ევროპულ „მცირე ბიზნესის აქტის“ პრინციპების გადმოღებისას ყურადღება უნდა მიქცეოდა ორ სიტყვას -

ამაღლებას და გაძლიერებას. ევროპულ მცირე მეწარმეებს საბაზო სამეწარმეო განათლება სკოლიდანვე აქვთ მიღებული და ახლა მათი საზრუნავი მისი ამაღლებაა. ჩვენს მცირე მეწარმეებს კი, ხშირ შემთხვევაში, ელემენტარული მეწარმული განათლება არ გააჩნიათ. ასე რომ, ჩვენ ჯერ საბაზო სამეწარმეო ცოდნა უნდა მივცეთ მეწარმეებს და მხოლოდ შემდეგ მის ამაღლებაზე ვიზრუნოთ.

სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავში - „საქართველოს მოსახლეობის საერთაშორისო მიგრაციული განწყობის შეფასება მცირე ბიზნესის განვითარების კონტექსტში“ - სამი ქვეთავია წარმოდგენილი. პირველ ქვეთავში განხილულია მცირე ბიზნესის განვითარება და მისი სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა საქართველოში.

მსოფლიო დონის მეცნიერები ერთხმად აღიარებენ, რომ მაღალგანვითარებულმა ქვეყნებმა ეკონომიკურ ზრდას და შედეგად, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას, მცირე (და საშუალო) ბიზნესის განვითარებით მიაღწიეს.

ეს მათ შეძლეს მცირე ბიზნესის განვითარებისთვის კეთილმოწყობილი პირობების შექმნით, აქტიური მხარდაჭერით და მის წამოსაწყებად მოსახლეობის დაინტერესებით.

თუ არ ჩავთვლით საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საწყის 5-7 წელს, როდესაც საქართველოში ახლადგახსნილი მცირე საწარმოები ორი წლით თავისუფლდებოდნენ გადასახადის გადახდისგან, შემდეგ პერიოდში, ფაქტიურად 2011 წლამდე, მათ განსავითარებლად ქვეყნის მთავრობას არავითარი ქმედითი ნაბიჯები არ გადაუდგამს. მოხდა პირიქით, კერძოდ, ახლადგახსნილ მცირე საწარმოებს მოეხსნათ გადასახადებში ორწლიანი შეღავათი, გაუქმდა მცირე ბიზნესის განვითარების სახელმწიფო ფონდი, გაუქმდა კანონი „მცირე და საშუალო საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ“, გაუქმდა „მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ცენტრი“ და მრავალი სხვა.

რალა თქმა უნდა, ასეთი პოლიტიკის შედეგად მცირე ბიზნესი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. თუ იქამდე, მაგალითად 1999 წელს, მცირე ბიზნესის წილი პროდუქციის ერთობლივ გამოშვებაში - 20,3%-ს, ხოლო

დასაქმებაში 24,3%-ს შეადგენდა,¹ 2007 წელს ანუ „ვარდების რევოლუციით“ მოსული მთავრობის მართვის მესამე წლის ბოლოს შეადგინა - 5,3% და 13,7% შესაბამისად.²

ასეთმა კატასტროფულმა შედეგებმა მაშინდელი მთავრობა აიძულა გადაედგა გარკვეული ნაბიჯები მცირე ბიზნესის განვითარების ხელშესაწყობად. ამის დასტურია 2011 წელს მათ მიერ წამოწყებული და დანერგილი სპეციალური საგადასახადო რეჟიმები მიკრო და მცირე საწარმოთათვის. დადგინდა მათი სტატუსიც. მიკროთ იწოდებოდა საწარმო, რომლის წლიური ბრუნვა არ აღემატებოდა 30 000 ლარს და იგი არ დაიბეგრებოდა, ხოლო მცირე საწარმოს სტატუსი ენიჭებოდა წლიური 100 000 ლარის ბრუნვის მქონე საწარმოს და იგი ბრუნვის 5%-ით იბეგრებოდა (ხარჯების 60%-იანი დონის პირობებში - 3%-ით). ეს ცვლილება შევიდა საქართველოს საგადასახადო კოდექსში 2011 წელს და ეს საწარმოები 2019 წლამდე ასე იბეგრებოდნენ (2019 წლიდან 5%-იანი გადასახადი შეიცვალა 1%-ით). მაგრამ ამ ინიციატივას ქონდა დიდი ნაკლი. მან არ მოიცვა ყველა 30 თუ 100 ათას ლარიანი ბრუნვის საწარმო. ეს შედეგითი გავრცელდა მეტად შეზღუდულად მხოლოდ რამდენიმე პროფილის მქონე საწარმოებზე.

სწორედ ამის შედეგად მოხდა ის, რომ ამ შედეგით მცირე საწარმოს სტატუსი მიიღო საწარმოთა ნაკლებმა რაოდენობამ და არა იმდენმა, რამდენსაც, სხვა მიდგომით, შეეძლო მიეღო. სწორედ ამ მიზეზით, ამ ინიციატივას მცირე მეწარმეობის „ბუმი“ არ მოჰყოლია, თუმცა, მცირე ბიზნესის განვითარებაში წინსვლა გამოჩნდა. 2011 წელს მცირე ბიზნესმა პროდუქციის ერთობლივ გამოშვებაში დაიკავა - 8,9%, ხოლო დასაქმებაში - 25,2%,³ 2012 წელს კი - 10,2% და 29,1% შესაბამისად.⁴

2014 წლიდან საქართველოს მთავრობაში მოსულმა პარტია „ქართულმა ოცნებამ“ მცირე (და საშუალო) ბიზნესის მხარდაჭერაში უფრო აქტიური პოლიტიკა აირჩია, რაც გამოიხატა მეწარმეობის განვითარების სააგენტოს

¹ მეწარმეობა საქართველოში, სტატისტიკური პუბლიკაცია, თბ., 2000, გვ. 44 და 117.

² მეწარმეობა საქართველოში, სტატისტიკური პუბლიკაცია, თბ., 2008, გვ. 53 და 132.

³ მეწარმეობა საქართველოში, სტატისტიკური პუბლიკაცია, თბ., 2012, გვ. 39, 110.

⁴ მეწარმეობა საქართველოში, სტატისტიკური პუბლიკაცია, თბ., 2013, გვ. 39, 110.

შექმნაში, ინოვაციების და ტექნოლოგიები სააგენტოს შექმნაში, პროგრამების - „აწარმოე საქართველოში“ და „შექმენი მომავალი“ ამუშავებაში, საპარტნიორო ფონდის შექმნაში, „იაფი კრედიტის“ პროგრამის გავრცელებაში, საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის (2016-2020 წ.წ.) შემუშავებაში და ა. შ.

შედეგად, 2012-2016 წლებში, ანუ „ქართული ოცნების“ მართვის პირველ 4 წელიწადში მცირე ბიზნესის ბრუნვა - 3905,3 მლნ ლარიდან 21786,4 მლნ ლარამდე, ანუ 557,9%-ით გაიზარდა. ასეთი ზრდა ძირითადად მოხდა 2016 წელში, რაც შეეხება წინა წლებს, კერძოდ, 2014 და 2015 წლებს, ზრდა პროცენტულად შედარებით უმნიშვნელო იყო (19-20%), ხოლო 2013 წელს საერთოდ შემცირებას ჰქონდა ადგილი. 2016 წელს საქართველოს მცირე ბიზნესის ბრუნვის ზრდა აღემატებოდა საერთოდ ქვეყნის მთლიანი ბრუნვის ზრდას (557,9 > 152,4), რაც იმის დამადასტურებელია, რომ „ქართული ოცნების“ მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა მეტი ეფექტი ბიზნესის ამ სფეროზე მოახდინეს. ამას ისიც მოწმობს, რომ თუ მცირე ბიზნესს საქართველოს ეკონომიკის მთლიან ბრუნვაში 2012-2015 წლებში ეკავა საშუალოდ 8-9%, 2016 წელს დაიკავა 34%, 2017 წელს კი ცოტა მცირე - 32%. იგივე ითქმის პროდუქციის გამოშვებაზეც.

საქართველოს მცირე ბიზნესში პროდუქციის გამოშვების და ბრუნვის ზრდის ასეთ მაღალ ზრდას, რა თქმა უნდა, როგორც შედეგი, თან მოჰყვა სხვა მაჩვენებლების გაუმჯობესებაც. მაგალითად, 2016 წელს მცირე ბიზნესის საწარმოებმა აწარმოეს ქვეყანაში შექმნილი დამატებული ღირებულების - 34,7%, ხოლო 2017 წელს - 35,9%, ნაცვლად წინა 2012-2015 წლებში წარმოებული 10-11%-ისა.

2016 წელს მცირე მეწარმეთა მიერ შეიქმნა ქვეყანაში დარიცხული საერთო მოგების თითქმის 50% (49,4%). 2012-2017 წლების პერიოდში საქართველოს მცირე ბიზნესში მნიშვნელოვნად გაზრდილია დასაქმებაც (173716 კაცი) და ამ მაჩვენებლით მცირე ბიზნესმა სამეწარმეო საქმეში საერთო დასაქმებულთა რიცხვში 2017 წელს - 41,4% დაიკავა.

დისერტანტს ეს მაჩვენებელი არ მიაჩნია საკმარისად, რადგან საქართველოში შრომისუნარიანი ანუ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა არის

1983100 კაცი, მცირე ბიზნესში დასაქმებულთა რიცხვი კი 329112 კაცს. შრომისუნარიანი მოსახლეობის საერთო რიცხვის მიმართ საქართველოს მცირე ბიზნესში დასაქმებულთა ხვ. წონა შეადგენს მხოლოდ 16,5%-ს $\left(\frac{329112}{1983100} \cdot 100 = 16.5\% \right)$ და არა ორ მესამედს (ანუ 66,6%-ს), ისე როგორც განვითარებულ ქვეყნებში. დისერტანტის აზრით, საზრუნავი და გასაკეთებელი ამ სფეროში საქართველოში ჯერ კიდევ ბევრია. ის, რაც გაკეთებულია კარგია, მაგრამ არ არის საკმარისი. მოსახლეობაში ჯერაც მიგრაციული განწყობაა, თანაც ძალიან ძლიერი. მის შესაჩერებლად ამ სფეროში და აგრეთვე, საშუალო ბიზნესში, რადიკალური გარღვევაა საჭირო. ნაშრომის ამ ნაწილში გაკეთებულია დასკვნა, რომ მიუხედავად გარკვეული წარმატებისა, რაც 2016-2017 წლების სტატისტიკამ დააფიქსირა, საქართველოს მცირე ბიზნესში არსებული მდგომარეობა ნამდვილად ტოვებს უკეთესის სურვილს.

ნაშრომის მეორე თავის მეორე ქვეთავში - „მოსახლეობის სიღარიბის, ცხოვრების დონის და მიგრაციის მდგომარეობა საქართველოში“ მოცემულია და შეფასებულია მოსახლეობის სიღარიბის ამსახველი მეტად ფართო ინფორმაცია. გაანალიზებულია დასაქმების და უმუშევრობის მაჩვენებლები და ნათქვამია, რომ მართალია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფოს სამსახურის ცნობით 2010-2017 წლებში უმუშევრობის დონე - 16,3%-დან 13,9-მდე არის შემცირებული, მაგრამ სადისკუსიოა თვითდასაქმებული (ფრაგმენტულად მომუშავე) ადამიანების შეტანა დასაქმებულთა საერთო რიცხვში. წარმოდგენილია ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებლები და ნათქვამია, რომ 2017 წელს საქართველოს მოსახლეობის 22,3%, ანუ მედიანური მოხმარების 60%-ის ქვევით მყოფი მოსახლეობა ხარჯავდა თვეში 161 ლარამდე (268:100-60), ხოლო მედიანური მოხმარების 40%-მდე მყოფი მოსახლეობა (მოსახლეობის 8,5%) - 107,3 ლარამდე. პირველ შემთხვევაში ეს იყო 830987 კაცი, მეორე შემთხვევაში - 316744 კაცი. პირველი ნაწილი დღეში ხარჯავდა 5,3 ლარს (161:30 = 5,3 ლარი), მეორე ნაწილი კი - 3,6 ლარს (107,3:30 დღე = 3,6 ლარი). დოლართან მიმართებაში მოსახლეობის ორივე ეს ნაწილი თავისი დღიური მოხმარებით სიღარიბის ზღვარს (დღეში 2 დოლარი) ქვემოთ ხვდება.

სტატისტიკური ინფორმაციით, მართალია საქართველოში იკვეთება მედიანური მოხმარების 60% და 40%-ს ქვემოთ მცხოვრებ მოსახლეობის კლების ტენდენცია, მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ლარიბ-ლატაკების სავარაუდოდ 10-15% საერთოდ არ რეგისტრირდება მონაცემთა ბაზაში.

სადისერტაციო ნაშრომში გაანალიზებულია ერთ სულ მცხოვრებზე მოსული მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) და ნათქვამია, რომ 2012-2017 წლებში საქართველოში იგი გაზრდილია 45,1%-ით, ანუ 6998 ლარიდან 10156 ლარამდე, მაგრამ სიღარიბიდან საქართველოს გამოსაყვანად ზრდის ეს ტემპი მაინც მეტად მცირეა.

თითქმის იგივე მდგომარეობაა მოსახლეობის შემოსავლებში საქართველოში 2012-2017 წლებში თვიური სულადობრივი შემოსავლები 218,4 ლარიდან 302,2 ლარამდე, ანუ 45,5%-ით არის გაზრდილი. მაშასადამე, მართალია ზრდა ამ შემთხვევაშიც არის, მაგრამ მეტად არასაკმარისი. სულადობრივი თვიური შემოსავალი - 317,2 ლარი თითქმის ორჯერ აღემატება შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმს (170 ლარი თვეში), მაგრამ ასეთი შემოსავლით, როცა ქვეყანაში პირველადი მოხმარების საქონელზე ფასები მუდმივად იზრდება, რამდენ ხანს იქნება ადამიანი შრომისუნარიანი?

მოსახლეობის შემოსავლებში უთანასწორობის კოეფიციენტი, ანუ ჯინის კოეფიციენტიც კრიტიკულ ზღვარზე - 0,43-0,46-ის ფარგლებშია.

საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონის ამსახველი ზემოთდასახელებული მაჩვენებლების გამო, დისერტანტი აკეთებს დასკვნას, რომ საქართველოში ლარიბი მოსახლეობა კიდევ უფრო ლარიბდება, მდიდრები კი კიდევ უფრო მდიდრდებიან. ამის შედეგად დაუსაქმებელი ლარიბები ეძებენ სამუშაოს და ლეგალური თუ არალეგალური გზებით საზღვარგარეთ მიემგზავრებიან. ასე რომ, მიგრაცია მიზეზშედევობრივ კავშირშია უმუშევრობასა და სიღარიბესთან. თუ მოსახლეობას დავასაქმებთ და სიღარიბიდან გამოვიყვანთ, არც მიგრაცია გვექნება.

საქართველოდან მოსახლეობის ემიგრაცია 1991 წლიდან დაიწყო. ემიგრაციის ყველაზე დიდი ტალღით 1991-1996 წლები ხასიათდებოდა, რადგან ეკონომიკური კრიზისის გარდა ამ პერიოდში ქვეყანაში მიმდინარეობდა ეთნო-

კონფლიქტები, პარტიული დაპირისპირებები და მრავალი სხვა უარყოფითი მოვლენები.

მომდევნო წლებში მოსახლეობის ემიგრაცია საქართველოდან შემცირდა, მაგრამ არ შეწყვეტილა. რადგან მოსახლეობის ცხოვრების დონე დღემდე მნიშვნელოვნად არ შეცვლილა, ქვეყანაში კვალავაც ეკონომიკური კრიზისია, მოსახლეობის 50% სიღატაკესა და სიღარიბეშია, მოსახლეობის - 13,9% უმუშევარია. შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო თვიური მინიმუმი საქართველოში 170,8 ლარი (დღეში 5,6 ლარია, ანუ დღევანდელი კურსით 2,3 დოლარი). გამოდის, რომ შრომისუნარიანი მამაკაცის თვიური 170,8 ლარი უზრუნველყოფს მხოლოდ მის სიცოცხლეს და არა მის შრომისუნარიანობას. სწორედ სიღარიბის მიზეზით საქართველოს მოსახლეობა ინტენსიურად მიდის ემიგრაციაში.

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი 2005 წლიდან ოფიციალურად ასაჯაროებს მიგრაციის სალდოს, ანუ სხვაობას ქვეყნიდან გასულ და ქვეყანაში შემოსულ მიგრანტთა რაოდენობებს შორის. ამ ინფორმაციით, 2005-2017 წლების პერიოდში, ანუ 12 წლის განმავლობაში ქვეყნიდან გასულთა რიცხვი აღემატებოდა შემოსულთა ანუ იმიგრანტთა რიცხვს - 2006 წელს - 12,1 ათასი კაცით, 2007 წელს - 20,7 ათასი კაცით, 2008 წელს - 10,2 ათასი კაცით, 2012 წელს - 21,5 ათასი კაცით, 2013 წელს - 2,6 ათასი კაცით, 2014 წელს - 6,5 ათასი კაცით, 2015 წელს - 3,4 ათასი კაცით, 2016 წელს - 8,1 ათასი კაცით, ხოლო 2017 წელს - 2,2 ათასი კაცით. მხოლოდ ოთხ წელს (2005, 2009, 2010 და 2011 წლები) იყო იმიგრანტთა სიჭარბე საქართველოდან ემიგრირებულთა რიცხვთან შედარებით.¹ ყურადსაღებია ისიც, რომ 2017 წლის ივლისის მონაცემებით ევროკავშირში უვიზო რეჟიმით გასულ 55 ათასი კაციდან 90 დღის ვადის გასვლის შემდეგ, 3000 კაცი უკან აღარ დაბრუნებულა.

საქართველოს მოსახლეობის განსაკუთრებით ახალგაზრდების მაღალი მიგრაციული განწყობა დასაბუთებული აქვს მიგრაციის კვლევის ცენტრსაც. მათ მიერ თბილისში და ქუთაისში გამოკითხულ ახალგაზრდათა ნახევარზე მეტი (ქ. თბილისი - 56%, ქ. ქუთაისი - 68%) ფსიქოლოგიურად მზადაა

¹ გაზეთი „ბანკები და ფინანსები“, 16 ოქტომბერი, 2017, გვ. 9.

საზღვარგარეთ წასასვლელად და შესაბამისი პირობების დადგომისთანავე მოახდენს განზრახვის რეალიზებას. რესპოდენტთა შორის შედარებით მეტია ქალები (60,2%).

ნაშრომში დისერტანტი საქართველოს მიგრაციის კვლევის ცენტრის სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგების დეტალური ანალიზით და აგრეთვე, ამ პროცესებზე საკუთარი დაკვირვებით, ადასტურებს იმ ფაქტს, რომ საქართველოში შექმნილი მძიმე ეკონომიკური ვითარება დიდ სტიმულს აძლევს მასშტაბურ გარე მიგრაციულ პროცესებს.

ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, ახალგაზრდა, შრომისუნარიანი ადამიანების ქვეყნიდან გასვლა დემოგრაფიული კრიზისის წინაშე აყენებს ქვეყანას და, თუ ემიგრაციის ტალღა მკვეთრად არ შემცირდა, არ არის გამორიცხული, ქვეყანა დეპოპულაციის საფრთხის წინაშეც კი დადგეს. დისერტანტის აზრით, დღეს ეს საფრთხე საქართველოს უკვე უდგას.

სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავის მესამე ქვეთავში დისერტანტის მიერ ჩატარებულია საქართველოს მოსახლეობის მიგრაციული განწყობის გამოკვლევა მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მოსახლეობის მაგალითზე. კვლევა ჩატარდა რეგიონის 7 დაბასა და ქალაქში - მცხეთაში, დუშეთში, თიანეთში, სიონში, ჟინვალში, ფასანაურსა და სტეფანწმინდაში. კვლევამ მოიცვა 80 რესპოდენტი. გამოკვლევა მოხდა 30 კითხვიანი კითხვარით. მიღებული პასუხებით დადგენილი რეგიონის მოსახლეობის მიგრაციული მზაობა მაღალია (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1-ის შეჯამებითი ინფორმაცია გვიჩვენებს შემდეგს: გამოკვლევული მოსახლეობის 34% ახლავს აპირებს ემიგრაციაში წასვლას, 58,5% - ჯერ-ჯერობით კიდევ თავს იკავებს წასვლისგან და მხოლოდ 7,5% საერთოდ არ აპირებს არსად წასვლას. ეს ხდება რეგიონში, რომლის 90% მთიანია. მთის მოსახლეობა კი, როგორც ცნობილია, უფრო მეტად არის „მიმაგრებული“ თავის მშობლიურ მიწასთან. რადგან, აქაც კი, ასეთი განწყობა ჩამოყალიბდა, უნდა ვიფიქროთ, რომ საქმე რაღაც შემთხვევით მოვლენასთან არა გვაქვს.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მოსახლეობის ემიგრაციული განწყობა.
(%-ად გამოკითხულ რესპოდენტთა საერთო რაოდენობასთან)

	გამოკვეთილი არეალი: მცხეთა დუშეთი ჟინვალი თიანეთი სიონი სტეფანწმინდა ფასანაური	გამოკითხულ რესპოდენტთა რაოდენობა: 80 კაცი	
#	კითხვები:	ემიგრაციაში წასვლის მზაობა	
		რაოდენობრივად	პროცენტულად, გამოკითხულთა საერთო ჯამთან (80-თან)
1	აპირებთ თუ არა ემიგრაციაში წასვლას?		
	კი	27	34
	ჯერ-ჯერობით არა	47	58,5
	საერთოდ არა	6	7,5
2	რომელ ქვეყანაში გსურთ გამგზავრება?		
	აშშ-ში	24	30
	ევროკავშირში	19	23,7
	რუსეთში	25	31
	დანარჩენ ქვეყნებში (ძირითადად, ისრაელი, ავსტრია, ინგლისი)	12	15,3
3	რატომ მაინცდამაინც ამ ქვეყნებში გსურთ წასვლა?		
	იქ არიან ჩემი ნათესავები	24	30
	იაფი ჯდება წასვლა	18	22,5
	ადვილია სამუშაოს შოვნა	21	26
	მაღალია სამუშაოს ანაზღაურება	22	21,5
4	როგორ მოახერხებთ წასვლის ორგანიზებას?		
	ლეგალურად	45	56,3
	არალეგალურად	35	43,7
5	რა წყაროთი შეძლებთ ხარჯების დაფინანსებას?		
	სახლის გაყიდვით (დაგირავებით)	22	27,5
	უცხოეთიდან ნათესავების გზავნილებით	43	53,7
	დანაზოგებით	15	18,8
6	რა არის მიზეზი ემიგრაციაში წასვლის თქვენ მზადყოფნისა?		
	განათლების მიღება	23	28,7
	სიღარიბე, უმუსევრობა	46	66,2
	იქ ცხოვრობენ ჩემი ოჯახის წევრები	11	5,1
7	იცით თუ არა რომელიმე უცხო ენა?		
	არა	71	88,7
	კი	9	11,3
8	თუ უცხო ენა არ იცით, როგორ აპირებთ უცხოეთში დასაქმებას (სწავლებას)?		

	ვისწავლი და ისე წავალ	6	7,5
	რომ ჩავალ, იქ ვისწავლი მინიმალურ დონეზე მაინც	74	92,5
9	თუ წასვლას გეგმავთ, რა მოიმიქმედეთ უკვე?		
	ენას ვსწავლობ	6	7,5
	წასვლისთვის ფულს ვაგროვებ	74	92,5
10	რა საქმეზე შეძლებთ უცხოეთში მუშაობას?		
	ოჯახში დამხმარედ, ბავშვის და მოხუცის მომვლელად	45	56,3
	მძღოლად	8	10,0
	ხელოსნად	16	20
	დავსაქმდები საშუაშაგლო საქმეში	11	3,7
11	თქვენთვის სულ ერთია რა საქმეზე დასაქმდებით?		
	კი, მთავარია ვიმუშავო	78	97,5
	არა, მხოლოდ პროფესიის მიხედვით	2	2,5
12	რა სიდიდის ანაზღაურებაზე იქნებით თანახმა უცხოეთში მუშაობისას?		
	არანაკლებ 500 ევრო	32	40
	არანაკლებ 500 აშშ	46	57,5
	800 ევრო და მეტი	2	2,5
13	ვინ დაგეხმარებათ უცხოეთში სამუშაოზე მოწყობაში?		
	იქ მყოფი მეგობრები და ნათესავები	55	68,7
	დამოუკიდებლად მოვძებნი განცხადებებით	25	31,3
14	თუ პროფესიით ვერ დასაქმდით, სხვა რა საქმეზე იმუშავებთ?		
	ყველანაირ საქმეზე ვიმუშავებ	78	97,5
	პროფესიული საქმის გარდა არ ვიმუშავებ და უკან დავბრუნდები	2	2,5
15	თუ ოფიციალურად ვერ მოახერხებთ უცხოეთში წასვლას, არალეგალურ წასვლაზე დათანხმდებით?		
	კი	78	85
	არა	2	15
16	გთავაზობთ ვინმე საზღვარ-გარეთ დასაქმებას?		
	იქ მყოფი ნათესავები, მეგობრები	78	85
	იქაური სათვისტომო	2	15
17	რამდენს ითხოვენ შუამავლები საზღვარგარეთ გაყვანასა და დასაქმებაში?		
	აშშ-ში 20-25 ათას დოლარს	24	30
	სხვა ქვეყნებში 5 ათას დოლარს	37	46,0
	ევროკავშირში 10 ათას ევროს	39	24
18	გინდათ წასვლა, მაგრამ მაინც აქ ხართ - სამშობლოში, გვითხარით, რა გიშლით ხელს?		
	არ მაქვს ფული	52	65
	ჯერ არ ვიცი უცხო ენა	7	8,7

	მშობლები ავადმყოფობენ	21	26,3
19	თუ მოგეცათ შესაძლებლობა და წახვედით მთელ ოჯახს (ახლა ან შემდეგ) წაიყვანთ?		
	სიტუაცია მიჩვენებს	61	76,3
	აუცილებლად	19	23,7
20	თუ წახვედით - საზღარგარეთ, როგორ გეგმავთ, დაბრუნდებით სამშობლოში?		
	სიტუაცია მიცვენებს	58	72,5
	არა, იქ შევქმნი ახალ ოჯახს	22	27,5
21	შრომის რა სიდიდის ანაზრაურება უნდა გქონდეთ საქართველოში, რომ აღარ იფიქროთ უცხოეთში წასვლა?		
	2-3 ათასი ლარი თვეში	76	95
	მაღალი ხელფასიც ვერ გაგაჩერებს, რადგან წესრიგი არ არის ქვეყანაში	28	5
22	გიფიქრიათ იმაზე, რომ უცხოეთში შეეჯახოთ რაიმე მწვავე პრობლემას, რომლის გამკლავებაც ვერ შეძლებთ?		
	იქ მცხოვრები ქართველები დამეხმარებიან	61	76,3
	იქაური მართვის ადგილობრივ ორგანიზაციებს მივმართავ	7	8,7
	საქართველოს საკონსულოს მივმართავ	12	15
23	რას ფიქრობთ ამ ფრაზაზე - „სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა“?		
	სამშობლო კომუნისტურმა წყობამ დაგვავიწყა	3	3,7
	გლობალიზაციამ ბევრი ეროვნული ფასეულობა გადა-აფასა, მ. შ. სამშობლოს ცნებაც	10	11,3
	მიჭირს პასუხის გაცემა	67	85,0

სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავში - საქართველოში ინკლუზიური მცირე ბიზნესის განვითარება, როგორც მოსახლეობის ემიგრაციის და სიღარიბის დაძლევის საშუალება - სამი ქვეთავია წარმოდგენილი:

1. საქართველოს მიგრაციული სტრატეგიის ანალიზი-შეფასება და კონცეპტუალური ხედვის ჩამოყალიბება.
2. ემიგრანტებისგან საქართველოში გზავნილების ანალიზი.
3. ინკლუზიური მცირე ბიზნესის განვითარების პერსპექტივები საქართველოში.

პირველ ქვეთავში დისერტანტი იხილავს და საქართველოს მიგრაციის პოლიტიკას აფასებს კანონით „შრომითი მიგრაციის შესახებ“ და „საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგიით“.

საქართველოს კანონის „შრომითი მიგრაციის შესახებ“ განხილვით ნაშრომში დადგენილია, რომ ამ სფეროს საქართველოში ერთიანი მმართველ-ადმინისტრაციული ორგანო არ ჰყავს - მიგრაციის პოლიტიკას პარლამენტი განსაზღვრავს, მიგრაციის სახელმწიფო მმართველობას კი ახორციელებენ საქართველოს მთავრობა, საქართველოს სამინისტროები და მათ სისტემაში შემავალი ადმინისტრაციული ორგანოები (ყველა თავისი კომპეტენციის ფარგ-ლებში).

მაშასადამე, დღეს საქართველოში მიგრაციის რეგულირების საკითხი გაფანტულია სხვადასხვა უწყების ხელში. არ არსებობს მასზე პასუხისმგებელი ერთიანი ორგანო. არადა, ეს გლობალიზაციის ისეთი გამოწვევაა, რომლის პასუხი უნდა იყოს მეტად მოზომილი, მარეგულირებელი კანონებიც და სტრატეგიაც საქართველოს როგორც მცირე ქვეყნის და ქართველების, როგორც მცირე ერის ეროვნულ თავისებურებებს მორგებული. ამ პროცესს მეტად გონივრული, შორსმჭვრეტელო რეგულირება სჭირდება. იგი არ შეიძლება მხოლოდ საქართველო-ევროკავშირის საყოველთაო შეთანხმების (DCFTA) მოთხოვნებს დაეფუძნოს და მის გამოწვევებს უპასუხოს. არანაკლები და შეიძ-ლება ათჯერ მეტი მნიშვნელობის გამოწვევაა საქართველოს დაცლა ქართველი მოსახლეობისგან, არადა სტატისტიკა ამას მოწმობს - საქართველოდან ემიგ-რირებულ მოსახლეობაში (კერძოდ, ქალებში) ქართველები 60%-ზე მეტია¹

საქართველოში მიგრაციის საკითხების კომისიაც არსებობს და სამუშაო ჯგუფიც. მაგრამ როგორც კომისიები, ისე სამუშაო ჯგუფები გარკვეულ დროს და გარკვეულ პერიოდში იკრიბებიან, შემდეგ კი ისინი, როგორც წესი, იშლებიან. დისერტანტის წინადადება მათგან იმით განსხვავდება, რომ ეს ორგანო იყოს სტაბილური სამთავრობო ორგანო, რომლის აპარატი მუდმივად იმუშავებს მიგრაციის საკითხებზე და ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხების გადაწყვეტილებებში ჩართავს სხვა უწყების წარმომადგენლებსაც, კერძოდ, პროფესორ-მასწავლებლებს, მეცნიერებს, პროფკავშირს, საპატრიარქოს

¹ *თორია გ. შრომითი რესურსების მიგრაციის გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. შრომების კრებული - „გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკური განვითარება: გამოწვევები და შესაძლებლობები“, თბ., 2008, „უნივერსალი“, გვ. 336.*

წარმომადგენლებს, უკვე მიგრირებულ და ემიგრაციისთვის მზადყოფილ ოჯახების წარმომადგენლებს და სხვებს.

ნაშრომის ამავე ნაწილში ასევე კრიტიკულად განხილულია საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია. იხილავს რა ამ დოკუმენტს დისერტანტი განსაკუთრებით აკრიტიკებს მის ორ ასპექტს:

1. მიგრაციის სტრატეგიის შემუშავების პროცესს.
2. სტრატეგიის მიზნებს და სამიზნე ჯგუფებს.

საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია როგორც სამთავრობო დოკუმენტი სამთავრობო კომისიის შემუშავებულია და ქვეყნის მთავრობის მიერ დამტკიცებულია. იგი მხოლოდ დოკუმენტზე მუშაობის ბოლო ეტაპზე გაიგზავნა საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ასევე აკადემიური წრეების წარმომადგენლებთან. დისერტანტის აზრით, საქართველოს მიგრაციის სტრატეგია, რომელიც მომავალში ქართველი ერის როგორც ეთნოსის ყოფნა-არყოფნას ეხება, დოკუმენტზე მუშაობის ბოლო ეტაპზე კი არ უნდა გაგზავნილიყო არასამთავრობო ორგანიზაციებთან თუ აკადემიურ წრეებთან, არამედ ისინი ჩართული უნდა ყოფილიყვნენ მის შემუშავებაში და გაცნობოდნენ არა მის ბოლო ვარიანტს, არამედ უნდა ყოფილიყვნენ მისი თანაავტორები. სტრატეგიის შემუშავებელმა ჯგუფმა არა თუ თავის შემადგენლობაში არ ჩართო საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლები, არამედ განსახილველადაც არ გადაუგზავნა იგი მათ.

რაც შეეხება მეორე ასპექტს, ანუ დასახელებული სტრატეგიის მიზნებს და სამიზნე ჯგუფებს, სადისერტაციო ნაშრომში ჩამოთვლილი და ურთიერთშედარებულია ისინი. სამიზნე ჯგუფებში ნომერ პირველ ჯგუფად საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები არიან დასახელებული (ანუ ისინი, ვინც დღესაც ცხოვრობენ საქართველოში), დანარჩენ ხუთ ჯგუფში კი - საზღვარგარეთ გასული საქართველოს მოქალაქეები, საქართველოში მყოფი ლტოლვილები და თავშესაფრის მაძიებელნი, საქართველოში მყოფი იმიგრანტები და მოქალაქეობის არმქონე პირები და საქართველოში დაბრუნებული მიგრანტები. ასეთ ვითარებაში საქართველოს 2016-

2020 წლების მიგრაციის სტრატეგიაში ჩაწერილ რვა მიზნიდან - არცერთი არ ეხება სამიზნე ჯგუფების #1 ჯგუფს - საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს, ანუ მათ, ვინც ჯერ კიდევ ცხოვრობს საქართველოში და ჯერ არ დაუტოვებია სამშობლო. ყველა ჩამოთვლილი მიზნები ეხება ან საქართველოდან უკვე გასულებს, ან უკან დაბრუნებულებს ან საქართველოში შემოსულ იმიგრანტებს, ლტოლვილებს, თავშესაფრის მაძიებლებს და სხვა მისთანებს. ამ სტრუქტურის განხილვით დისერტანტი ასკვნის, რომ იგი არა ქართველი ერის საჭიროებებს, არამედ მხოლოდ საქართველო-ევროკავშირის საყოველთაო შეთანხმების (DCFTA) მოთხოვნებს ეფუძნება.

ნაშრომში გამოკვეთილად აღნიშნულია, რომ საქართველოს მთავრობა ვალდებულია მიგრაციის სტრატეგიის შემუშავებისას იხელმძღვანელოს და ანგარიში დაუწიოს საერთაშორისო ნორმებს და სტანდარტებს, და, ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება უპირატესობაც მისცეს მათ ქართულ კანონმდებლობასთან შედარებით, მაგრამ რადგან მიგრაციის ზემოთ დასახელებული სტრატეგია საქართველოს ეხება, მასში ნათლად, გამოკვეთილად და არაორაზროვნად უნდა ჩანდეს ეროვნული ინტერესიც. ეს ინტერესი არის საქართველოს მოსახლეობის სურვილი იმუშაოს საქართველოს ტერიტორიაზე და იცხოვროს აქ ღირსეულად. ეს ინტერესი და ეს სურვილი ზემოთდასახელებულ სტრატეგიაში არ ჩანს.

ნაშრომის მესამე თავის მეორე პარაგრაფში გაანალიზებულია ემიგრანტებისგან საქართველოში შემოსული გზავნილები და ისინი აქ დარჩენილი მათი ოჯახების გადარჩენის და სოციალური უზრუნველყოფის მნიშვნელოვან ფაქტორად არის მიჩნეული.

თუმცა, დისერტანტის აზრით, რამოდენიმე ოჯახის, თუნდაც ეს ასი ათასი ოჯახი იყოს, ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და შიში იმისა, რომ ადრე თუ გვიან ეს ოჯახებიც მთლიანად თან წაყვებიან თავიანთ ემიგრირებულ შვილებს იმ ქვეყანაში, არ ღირს იმათ, რომ ისედაც მცირეერიანი საქართველო დაიცალოს ქართველებისგან.

სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავის მესამე ქვეთავში ინკლუზიური მცირე ბიზნესის განვითარების პერსპექტივები საქართველოში - დასაბუთე-

ბულია ინკლუზიური მცირე ბიზნესის განვითარებით ქვეყანაში სიღარიბის დაძლევა და მოსახლეობის ემიგრაციის შემცირება.

ყველასათვის ცნობილია, რომ ქვეყნის აღორძინება, მასში სიღარიბის დაძლევა მოსახლეობის სრული დასაქმებით უნდა მოხდეს. ამ ფუნქციის შესრულება მხოლოდ მცირე ბიზნესს შეუძლია. ქვეყნის ხელისუფლებას მისთვის მხოლოდ სათანადო პირობების შექმნა ევალება. დასაინანია, რომ დღემდის საქართველოს ხელისუფლებაში მოსულმა ვერცერთმა მთავრობამ ასეთი პირობები ვერ შექმნა. 2018 წლის აგვისტოში საქართველოს ახალმა პრემიერ-მინისტრმა - მამუკა ბახტაძემ პარლამენტის წევრებთან შეხვედრაში საქართველოში ინკლუზიური ბიზნესის განვითარებისთვის მთავრობის მზაობა დაასახელა. ამის შემდეგ მასზე აღარაფერი თქმულა.

დასაინანია, რომ დღემდე საქართველოში ინკლუზიური ბიზნესი არა თუ არ განვითარებულა, არამედ ნიადაგიც კი არ მზადდება მის განსავითარებლად. თუმცა, მის შესახებ, 2013 წელს შემუშავებულ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში - „საქართველო 2020“-შიც იყო მის შესახებ აღნიშნული.

მსოფლიო ბანკის შეფასებით ქვეყნის ეკონომიკური ზრდა მაშინ არის ინკლუზიური, როდესაც იგი იწვევს ღარიბთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას. ეს კი მაშინ მოხდება თუ ღარიბ-ღატაკნი ჩართულნი იქნებიან ქვეყნის ეკონომიკურ აქტივობაში.

საქართველოში სტატისტიკური დეპარტამენტის ინფორმაციით დღეს ქვეყნის ეკონომიკა იზრდება, მაგრამ სიღარიბე არ მცირდება, მოსახლეობის 42,2% ღარიბი და ღატაკია.¹ ეს იმიტომ ხდება, რომ ეკონომიკური ზრდის სარგებელს იღებენ მხოლოდ მდიდრები და შეძლებული ფენა.

გაეროს მოხსენებაში - „სიღარიბის დაძლევის შესახებ მსოფლიოში“ დასახელებულია ამ სფეროში არსებული ხუთი ძირითადი პრობლემა. ეს პრობლემებია:²

1. ღარიბთა ბაზრების შესახებ ინფორმაციის შეზღუდულობა.

¹ არჩვაძე ი. თაობათაშორისი ურთიერთობები, როგორც ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის შემოსავლების ზრდის ფაქტორი, ჟ. „ეკონომისტი“, #1, ტ. XIV, 2018, გვ. 95.

² UBDP-ს 2008 წელს მოხსენება - „სიღარიბის დაძლევის შესახებ მსოფლიოში“.

2. არაეფექტური რეგულირება.
3. განუვითარებელი ინფრასტრუქტურა.
4. ცოდნისა და გამოცდილების უკმარისობა.
5. შეზღუდული დაშვება ფინანსურ რესურსებზე.

საქართველოს პრაქტიკიდან გამომდინარე დასამატებელია სხვა ბარიერებიც. ერთ-ერთი დაკავშირებულია ღარიბი მოსახლეობის საცხოვრებელ ადგილთან. ღარიბთა უმრავლესობა საქართველოს დეპრესიულ რეგიონებში - მცხეთა-მთიანეთი, სამცხე-ჯავახეთი, მთა-თუშეთი, ხევსურეთი, მთიულეთი, რაჭა, ზემო სვანეთი ცხოვრობს. ეს ადგილები ნაკლებდასახლებული და მიუდგომელია. იქ მცხოვრებთა 90-95% ღარიბია. ბიზნესს ვერ აიძულებ ამ ადგილებში მისვლას, მანამ იქ არ შეიქმნება ბიზნესისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა (მაგალითად, გზები). იგი ქვეყნის მთავრობამ უნდა მოაწყოს.

რადგან დღემდე ბიზნესი არ მივიდა ღარიბი მოსახლეობის კონცენტრაციის ზემოთ დასახლებულ ზონებში, ეს იმას ნიშნავს, რომ მისთვის არახელსაყრელია ამ ადგილებში საქმიანობა, ან მისთვის არსებობს ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული ბარიერები, ამიტომ სახელმწიფომ ამ ზონებში ისეთი პირობები უნდა შექმნას, რომ ან უკვე არსებულმა კომპანიებმა გახსნან იქ მცირე საწარმოები და მათში იქ მცხოვრები ღარიბები დაასაქმონ, ანდა თვით ამ ღარიბებმა ისწავლონ ბიზნესის წამოწყება და გაძლონ.

მაგრამ ამას ყველა მეწარმე არ გააკეთებს, რადგან ყველას ვერ მოთხოვს საქვეყნო საქმის - ღარიბების სიღარიბიდან გამოყვანის - ზრუნვას. მეწარმე მოგებაზე ორიენტირებული ადამიანია და მისთვის მთავარი სამიზნე-მოგებაა.

საქართველოში ეს საქმე ქვეყნის მთავრობამ უნდა აიღოს თავის თავზე. თავისი ეს განზრახვა მან რამდენიმეჯერ გააჟღერა კიდეც.

თუ საქართველოს მთავრობას მართლაც უნდა ეკონომიკის ინკლუზიურ ზრდას სამეწარმეო საქმიანობაში მოსახლეობის ფართო ფენების, კერძოდ კი, ღარიბების ჩართვით მიაღწიოს, მან ამისათვის მთავრობაში უნდა შექმნას სპეციალური რგოლი (სტრუქტურა), რომელიც დაკომპლექტდება სწავლულ ექსპერტებისგან (ეკონომისტები, სოციოლოგები, დემოგრაფები, ფსიქოლოგები), რელიგიის წარმომადგენლებისგან, ღარიბი მოსახლეობის წარმომად-

გენლებისგან და ა. შ. ისინი შეიმუშავებენ საქართველოში ინკლუზიური განვითარების სტრატეგიას. ასეთი პრაქტიკის მაგალითები მრავალ ქვეყანაში იყო.¹ მაგალითად, გერმანიაში, ჩინეთში და სხვაგან.

სტრატეგია უნდა შეიმუშავდეს რეგიონულ ჭრილში.

ეს დიდი, შრომატევადი და საპასუხისმგებლო სამუშაოა. იგი დიდ დაფინანსებასაც მოითხოვს. ეს თანხები მუნიციპალურმა ბიუჯეტებმაც უნდა გაიღონ და ცენტრალურმა ბიუჯეტმაც, ქვეყნის მსხვილმა კომპანიებმაც, უცხოეთში ემიგრირებულ ქართულ დიასპორებმაც, ერთი სიტყვით ერმაც და ბერმაც. ეს იმ რანგის ღონისძიებაა, ქვეყანას ერთად დგომა რომ დასჭირდება ხოლმე, მტრის მოულოდნელი თავდასხმის დროს.

ჩინეთში სწორედ ასეთი ერთიანი, ყოვლისმომცველი ღონისძიება გაატარეს და იმ ორგანოში, რომელიც ამ საქმეს ხელმძღვანელობდა, ჩინეთის სხვადასხვა რეგიონებიდან, თვით ღარიბებიც კი ჩართეს.

ინკლუზიური ბიზნესის ჩინური ჩარჩო-მოდელი უნდა მოერგოს საქართველოს პირობებს და თავისებურებებს.

ჩინეთის გამოცდილებაზე დაყრდნობით სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილია მცირე ბიზნესის ინკლუზიური განვითარების ჩარჩო-მოდელი მცხეთა-მთიანეთის რეგიონისთვის.

იგი ითვალისწინებს შემდეგი ეტაპის გავლას:

➤ **I ეტაპი:** სპეციალური საკანონმდებლო-ნორმატიული აქტის შემუშავება და დამტკიცება;

➤ **II ეტაპი:** შეიმუშავებული და დამტკიცებული კანონმდებლობის შესაბამისად რეგიონის ადგილობრივ ხელისუფლებაში ინკლუზიური ბიზნესის განვითარების მმართველ-მარეგულირებელ ინკლუზიური კომიტეტის (კომისია, ჯგუფი) შექმნა;

➤ **III ეტაპი:** მუშა-პროგრამების შედგენა;

➤ **IV ეტაპი:** ღარიბი მოსახლეობის მასიური აღწერა რეგიონის მიხედვით ყველა ქალაქსა და სოფელში, მათი ასაკის, სქესის, ცოდნის, უნარის, რელი-

¹ *კლუმბი რაინერ, ეკონომიკური პოლიტიკა: მიზნები, ინსტრუმენტები და ინსტიტუციები, თარგმანი გერმანულიდან, თბ., 2013, გვ. 393.*

გიური მრწამსის, ჩვევის, პირველადი და მეორადი მოთხოვნილებების და ინტერესების მითითებით.

➤ **V ეტაპი:** შეგროვილი მასალის დამუშავება და ღარიბი ოჯახებიდან ასაკით და განათლებით უნარიანი ადამიანების შერჩევა ბიზნესში ჩასართავად.

➤ **VI ეტაპი:** რეგიონში ინკლუზიური ბიზნეს-ინკუბატორების გახსნა, შერჩეულ ღარიბი ადამიანებისთვის ბიზნესის დასაუფლებლად და მათთვის და მათ მიერვე მიკრო ან მცირე საწარმოთა გასახსნელად.

➤ **VII ეტაპი:** ინკლუზიური ინკუბატორის დასაფინანსებლად ბიუჯეტიდან და აგრეთვე, სახელმწიფო ბიუჯეტიდან სახსრების გამოყოფა და მისთვის ანგარიშის გახსნა.

➤ **VIII ეტაპი:** ბიზნეს-ინკუბატორის დაკომპლექტება და ამუშავება.

დასკვნა

სადისერტაციო თემის - „საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების პერსპექტივები მოსახლეობის სიღარიბის და მიგრაციის გლობალური გამოწვევების შუქზე“ - დამუშავებამ საშუალება მოგვცა გაგვეკეთებინა შემდეგი დასკვნები:

1. საქართველოში მცირე ბიზნესი არასაკმარისად არის განვითარებული. მართალია, 2016-2017 წლებში, წინა წლებთან შედარებით, მისი ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად მაღალი იყო, მაგრამ უმუშევრად დარჩენილი მოსახლეობის სრული დასაქმებისთვის ესეც არ არის საკმარისი. მაღალგანვითარებულ ქვეყნებში მცირე ბიზნესში შრომისუნარიანი მოსახლეობის 66,7% არის დასაქმებული, საქართველოში კი - 16,5%.

2. უმუშევრობის მიზეზით მოსახლეობის 13,9% დაუსაქმებელია, ცალკეული გამოკვლევებით (GFSIS-ის კვლევებით) კი, უფრო მეტი. ამის გამო მოსახლეობის ცხოვრების დონე დაბალია. ერთ სულ მცხოვრებზე ანგარიშით თვიური შემოსავალი 2017 წელს იყო 317,2 ლარი.

3. ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებლები 2017 წელს 2010 წელთან შედარებით გაუმჯობესებულია, მაგრამ ესეც არ არის დამამშვიდებელი.

მედიანური მოხმარების 60%-ის ქვევით კვლავაც ცხოვრობს მოსახლეობის 22,3%, ხოლო 40%-ის ქვევით - 8,5%.

4. შემოსავლების განაწილებაში უთანასწორობა ანუ ჯინის კოეფიციენტი საქართველოში 2017 წელს მთლიანი სახსრების მიხედვით 0,43-ია, ანუ კრიტიკულ ზღვარზეა.

5. შემაშვოთებელია ემიგრაციის მასშტაბი. ქვეყნიდან გასულთა რიცხვი აღემატება შემოსულთა რიცხვს. გასულთა უდიდესი ნაწილი ეთნიკური ქართველები არიან, უპირატესად ახალგაზრდობა. ეს დასკვნა მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მოსახლეობის მიგრაციული განწყობის კვლევით არის დადასტურებული.

საქართველოში ემიგრაციის და სიღარიბის მასშტაბების შესამცირებლად ვიძლევიტ წინადადებებს:

1. უნდა დამუშავდეს და ამოქმედდეს საქართველოს კანონი „მცირე მეწარმეობის განვითარების შესახებ“;

2. ცალკე უნდა დაფუძნდეს მცირე მეწარმეობის მართვის ადმინისტრაციული ორგანო;

3. ახლადგახსნილი მცირე საწარმოები მიზანშეწონილია პირველ ორ წელს გათავისუფლდნენ გადასახადისგან;

4. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ღარიბების ჩართულობით განვითარებულ ინკლუზიურ მცირე ბიზნესს;

5. საქართველოში მიზანშეწონილია ინკლუზიური მცირე მეწარმეობა ადგილობრივმა ხელისუფლებამ განავითაროს;

6. ინკლუზიური მცირე მეწარმეობის სამართავად მთავრობაში უნდა შეიქმნას სპეციალური კომიტეტი (რომელშიც შევლენ სწავლული ექსპერტებიც). ასევე უნდა მოხდეს რეგიონებში. მათ უნდა დაევალოთ ინკლუზიური მცირე ბიზნესის განვითარების სტრატეგიის შემუშავება;

7. ინკლუზიური მცირე ბიზნესის განვითარება უნდა დაეფუძნოს სახელმწიფოს ხარჯით შექმნილ ბიზნეს-ინკუბატორებში ღარიბთა თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებას საკუთარი ბიზნესის წამოსაწყებად;

8. ინკლუზიური მცირე ბიზნესის განვითარება მიზანშეწონილია განხორციელდეს ჩინური 8 ეტაპიანი ჩარჩო-მოდელის გამოყენებით. იგი იწყება შესაბამისი კანონდებლობის შექმნით და მთავრდება ინკლუზიური ბიზნეს-ინკუბატორის ამუშავებით და მასში ბიზნესის დასაუფლებლად და საკუთარი საქმის წამოსაწყებად ღარიბი ახალგაზრდობის სწავლებით;

9. საჭიროა გადამუშავდეს საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია. მისი პირველი სამიზნე ჯგუფი უნდა იყოს არა დასაბრუნებელ ემიგრანტთა რეინტეგრაციაზე ზრუნვა, არამედ და უპირველესად, ჯერ კიდევ აქ მყოფი მოსახლეობის შენარჩუნება და საქართველოში დამაგრება მათთვის სამუშაო ადგილების მიცემით. ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ ინკლუზიური მცირე ბიზნესის განვითარებით.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია შემდეგ პუბლიკაციებში:

კოლოკვიუმები:

1. კოლოკვიუმი 1 - „მცირე ბიზნესის თეორია მოსახლეობის მასიური დასაქმების კონტექსტში“.
2. კოლოკვიუმი 2 - „საქართველოს მოსახლეობის საერთაშორისო მიგრაციული განწყობის შეფასება მცირე ბიზნესის განვითარების კონტექსტში“

სტატიები:

1. ფარცვანია მ., ქიმაძე ა. საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის მთავრობისეული SWOT-ანალიზის შეფასება, ჟ. „ახალი ეკონომისტი“, #3, თბ., 2017, გვ. 88-91.
2. ხარხელი მ., ქიმაძე ა. ვაქციოთ მცირე მეწარმეობა ეკონომიკის ინკლუზიური ზრდის და სიღარიბის დაძლევის ფაქტორი საქართველოში, ჟ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, #4 , თბ., 2018, გვ. 81-91.

3. ანი ქიმაძე, საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში პოზიტიური ტენდენცია გამოჩნდა, სამეცნიერო ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა - XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები“, #1, 2018 წ. გვ. 54-70.
4. ანი ქიმაძე, მცხეთა-მთიანეთის რეგიონში მოსახლეობის მიგრაციული განწყობის გამოკვლევა, სამეცნიერო ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა - XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები“, #1, 2019 წ. გვ. 22-25.

კონფერენციები:

1. ქიმაძე ა. მცირე და საშუალო ბიზნესის საკანონმდებლო და ინსტიტუციური მხარდაჭერა საქართველოში, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული - „ეკონომიკური განვითარების სტრუქტურული და ინოვაციური პრობლემები“ (23-24 ივლისი, 2017), თსუ, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, თბ., 2017, გვ. 539-542.
2. ყურაშვილი გ., ქიმაძე ა. სამუშაო ძალის მიგრაციის „პლუს-მინუსები“, II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული, ნაწილი I, „გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები“, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბ., 2018, გვ. 287-291.
3. ხარხელი მ., ქიმაძე ა. შრომითი ემიგრაცია საქართველოდან და მისი სახელმწიფოებრივი რეგულირება, საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული - „ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების თანამედროვე ტენდენციები“, თსუ, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი (6-7 ივლისი, 2018), თბ., 2018, გვ. 433-437.
4. ქიმაძე ა. მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მოსახლეობის მიგრაციული განწყობის გამოკვლევა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მესამე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, - „გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები“, (24-25 მაისი, 2019), „თბ., 2019.